ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №99/ს

თბილისი „19" „05" 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით, და, მეორეს მხრივ, შპს „გიმანი" (შემდგომში „მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ გვენეტაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი) შეკიდული ჭერების სამონტაჟო სამუშაოების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – 45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები, 45421146 - შეკიდული ჭერების მონტაჟი) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო 324 (სამასოცდაოთხი ლარი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მიმწოდებლის ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი) შეკიდული ჭერის სამონტაჟო სამუშაოების ჩამონათვალი, ერთეულის ღირებულებები და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი #1–ში.

3.2. ხელშეკრულების დანართი #1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. სამუშაოების გაწევის პირობები

4.1. სამუშაოს გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი) მისამართზე: ქ. თბილისი, ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად გაწეული სამუშაოს მიხედვით.

5.2. სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ფორმა #2–ს, მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების

აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს" გაუწიოს სამუშაო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. საკუთარი მასალით უზრუნველყოს სამუშაოების შესრულება.

7.1.3. უზრუნველყოს საკუთარი მასალითა და ხარჯებით შესრულებული სამუშაოებზე ხარვეზისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

7.1.4. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ხარვეზისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა შემსყიდველის შეტყობინებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.1.5. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.6. დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმები.

7.1.7. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო სამუშაოს მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მიუწოდებლობის ან არაჯეროვანი მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.3. შემსყიდველს ხელშეკრულების 6.3 პუნქტში მითითებული ანგარისწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.3,იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
15.2.1. სამუშაოს მიწოდების ვადების და მიწოდებული სამუშაოს მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
15.2.2. გაწეული სამუშაოს ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართ №1-თან შესაბამისობის დადგენა, ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
15.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე საბოლოო კონტროლის განხორციელება, ინსპექტირების დასკვნის მომზადება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
15.2.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობთ და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
15.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ“ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”	**შპს „გიმანი“**
ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა	ქ. თბილისი, გველესიანის პირველი შესახვევი #6
საქართველოს ბანკი	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
კოდი № BAGAGE22	კოდი LBRTGE22
ა/ა № GE87BG0000000291880101	ა/ა № GE14LB0113110412570000
ს/კ # 205169592	ს/კ 412679640
მარინა მესხი	**გრიგოლ გვენეტაძე**
დირექტორი	დირექტორი